

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში «ხმა იდუმალი» ვკითხულობთ:

«რა ვჰსცან პირველად წუთისოფელი,
დავმთე ადგილი, სადაცა წრფელი
რბიოდა ნათლად დრო ყმაწვილობის
სწორთა, თანზრდილთა, მეგობართ შორის, -
მას აქეთ ხმა რამ თან სდევს ყოველთა
ჩემთა ზრახვათა და საწადელთა!»

კონკრეტულად რას მიემართება ეპითეტი «წრფელი»?

- ზრახვებს.
- მეგობრებს.
- სიყმაწვილეს.
- წუთისოფელს.

რას ნიშნავს სიტყვათა მყარი შეხამება *ხელს გაუმართავს*?

- გართობას.
- დახმარებას.
- მისაღმებას.
- მოწონებას.

რომელ შესიტყვებაშია გამოყენებული სიტყვა *უკბილო* გადატანითი მნიშვნელობით?

- უკბილო დედაბერი.
- უკბილო სავარცხელი.
- უკბილო ხერხი.
- უკბილო ხუმრობა.

რომელ შესიტყვებაშია გამოყენებული სიტყვა უკბილო გადატანითი მნიშვნელობით?

- უკბილო დედაბერი.
- უკბილო სავარცხელი.
- უკბილო ხერხი.
- უკბილო ხუმრობა.

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი გურამ დოჩანაშვილის მოთხრობიდან «კაცი, რომელსაცლიტერატურა ძლიერ უყვარდა»:

«...და თქვენ კი, მისალოც ინტერვიუერებს, გაინტერესებთ, თუ რამდენ წუთს ვკარგავ ვერმიშელის რიგში, მე კი სწორედ მაშინ, ვინ იცის, სად და როგორ დავბოდილობ - დიდებული რამაა თვალი, მაგრამ სულ სხვაა ფანტაზია, ასყურა და ასთვალისანი და კაცი ვერ იტყვის, თუ ვინაა ჭეშმარიტად ნამყოფი პერუსა და ნიგერიაში, მე, თუ რომელიმე ჩიბუხგაჩრილი ლოცმანი, რომელმაც გემით მთელი მსოფლიო შემოიარა».

რატომ არ კარგავს ვასიკო დროს «ვერმიშელის რიგში»?

- ამ დროს გემით მოგზაურობს.
- ამ დროს ლექსებს ამბობს.
- ამ დროს ფანტაზიით მოგზაურობს.
- ამ დროს ხალხს აკვირდება.

რომელია სწორი ფორმა?

- ანვითარებს.
- ანაღვლებს.
- ანრისხებს.
- ანცვიფრებს.

რომელ წინადადებაშია სინტაქსური შეცდომა?

- ბავშვი შეეცადა უფროსების ყურადღება მიეპყრო.
- მასწავლებელმა მოსწავლეებს დიდხანს ესაუბრა.
- შვილმა დედა სამსახურში მიაცილა.
- ხელმძღვანელი გიორგის დახმარებას დაჰპირდა.

რომელ ბრუნვაში დგას ნაცვალსახელი შესიტყვებაში: მათ შექმნეს?

- მოთხრობითში.
- მიცემითში.
- ნათესაობითში.
- მოქმედებითში.

გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას პოემა «სტუმარ-მასპინძელი». რატომწავიდა ჯოყოლა ხევსურებთანსაომრად მარტო და არა ქისტების ჯართან ერთად?

- უნდოდა აღაზასათვის ვაჟკაცობა დაემტკიცებინა.
- ქისტები მას გვერდით არ გაიკარებდნენ.
- ქისტებმა ჯოყოლას შეურაცხყოფა მიაყენეს.
- ჯოყოლას სტუმარი შეიპყრეს და მოკლეს.

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსიდან «რად ჰყვედრი კაცსა...»:

«რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო, პირუმტკიცობას?
თუ ემდური შენ ტრფიალისა ცვალებადს გრძნობას,
რომ არ გემსჭვალვის საუკუნო ტრფიალებითა?
ჰგავს, არ პასუხს სცემ შენ მას სულით მშვენიერითა».

რას უპირისპირებს ავტორი მიწიერ სიყვარულს?

- ამქვეყნიურ სიამოვნებას.
- კაცის გაუტანლობას.
- მარადიულ ტრფიალებას.
- ქალის პირუმტკიცობას.

რომელია არასწორი ფორმა?

- გაგლეჯავს.
- დახატავს.
- გაწყვეტს.
- დაზელს

თინათინი ავთანდილს უცხო მოყმის მოძებნას ავალებს. რა უნდა დაამტკიცოს ავთანდილმა ამდავალების შესრულებით?

- თინათინის სიყვარული.
- მეგობრის ერთგულება.
- სამშობლოს სიყვარული.
- როსტევანის ერთგულება.

რომელ წინადადებაშია არასწორად დასმული სასვენი ნიშნები?

- ასე გვიან, რომ არ იყოს, ჩვენც წამოვიდოდით.
- ბიჭს, ცოტა არ იყოს, ეზარებოდა უკან მიბრუნება.
- ჩვენ, ქართველებმა, ბევრი ტრადიცია შევინარჩუნეთ.
- ჩვენს შეხვედრას, სამწუხაროდ, ყველა ვერ ესწრება.

გრიგოლ ორბელიანის ლექსში «თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში»
ვკითხულობთ:

«ჰე, ცრუ სოფელო,
დაუნდობელო,
შენში კეთილი სად არს ფერ-უცვლელ?
დიდება ჩვენი,
ცად სხივ-მიმფენი,
ნუთუ ესლა გვაქვს, ვჰხედავთ რასაცა?»

რომელ ლიტერატურულ მიმდინარეობას მიეკუთვნება ეს ტექსტი?

- იმპრესიონიზმს.
- რეალიზმს.
- რომანტიზმს.
- სიმბოლიზმს.

გალაკტიონ ტაბიძის ლექსში «თოვლი» ვკითხულობთ:
«მიყვარდა მაშინ, მათრობდა მაშინ
მშვიდი დღეების თეთრი ბროლები,
მინდვრის ფოთლები შენს დაშლილ თმაში
და თმების ქარით გამოქროლება».

რა განცდის გამოხატვა სურს ავტორს ამ სტროფით?

- განწირულების.
- გულგრილობის.
- მონატრების.
- სიმშვიდის.

ნურადინ-ფრიდონი სთავაზობს ტარიელსა და ავთანდილს:

«აბჯრითა გავლა არად მიჩს ჭირად, გატანა ფარისა;
შიგან ჩავხლტები კისკასად, ვეცემი მსგავსად ქარისა,
ლაშქართა დავხოც, გავახვამ, ჰნახოთ გაღება კარისა!
თქვენცა მუნ მოდით, სადაცა გესმას ზრიალი ზარისა».

რომელია მოცემულ სტროფში შედარება?

- «ვეცემი მსგავსად ქარისა».
- «ლაშქართა დავხოც, გავახვამ».
- «შიგან ჩავხლტები კისკასად».
- «ჰნახოთ გაღება კარისა».

რომელია შეცდომა?

- გამქრალიყო.
- გაშლილიყო.
- დასწოლიყო.
- წასულიყო.

დავით გურამიშვილი გვიამბობს:

«სეტყვამ გარდილო, გამოველ, უფალსა მსხვერპლი შევსწირე.
არ მყვანდა სამღთოდ ზვარაკი, მხურვალეს გულით შევსტირე.
არც მაქვნდა სამღთო წერილი, ცოდნაცა მაქვნდა მე მცირე,
«ღმერთო, დამიხსენ მტერთაგან!» - ეს ლოცვა გავიზეპირე».

რა იგულისხმება გადატანითი მნიშვნელობით სიტყვებში: «უფალსა მსხვერპლი შევსწირე»?

- დავითმა ლოცვა გაიზეპირა.
- დავითმა მხურვალედ ილოცა.
- დავითმა ცოდვები მოინანია.
- დავითმა ცხვარი შესწირა.

გაიხსენეთ, რა მოხდა ხვარაზმელი უფლისწულის მოკვლის შემდეგ. ფარსადანის აზრით, რადააშავა დავარმა?

- ზღვის „ჭიპში“ გადაკარგა ნესტანი.
- თანაუგრძნობდა ტარიელის სიყვარულს.
- მონაწილეობდა ხვარაზმშას მკვლელობაში.
- უზნეო ადამიანად აღზარდა ნესტანი.

გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის მოთხრობა «ოთარაანთ ქვრივი». არჩილის აზრით, გლეხობის რათვისებას განასახიერებს გიორგი?

- მიმტევებლობას.
- პატიოსნებას.
- სიმხდალეს.
- შეურიგებლობას.

გაიხსენეთ თინათინის გამეფების ეპიზოდი. რა გადაწყვეტეს ავთანდილმა და სოგრატმა, როდესაცმეფეს მოწყენილობა შეატყვეს?

- საბურთაოდ წასვლა შეეთავაზებინათ.
- სანადიროდ წასვლა შეეთავაზებინათ.
- ხუმრობით დარდი გაექარვებინათ.
- ხუმრობით ქედმაღლობა დაებრალეებინათ.

ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობაში «ხევისბერი გოჩა» ვკითხულობთ:
«მამა ეუბნებოდა: «გახსოვდეს, ვისი გორისა ხარო», და სწორედ ამ სიტყვებით აგონებდა იმ მოვალეობას, რომელიც ერთს პირს მთელს სახლობასთან აკავშირებს და მისი საქციელი მთელი ოჯახობის გამაპატიოსნებელი თუ დამამცირებელი არის».

რის თქმა სურს ხევისბერს სიტყვებით: «გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ»?

- მეგობრები არ დაივიწყოს.
- ომში მოხვევებს უწინამძღვროს.
- ოჯახის საქმეები მოაგვაროს.
- წინაპრები არ შეარცხვინოს.

რომელია სწორი ფორმა?

- VII-ე.
- VII .
- მე-VII.
- მე-VII-ე.

რომელ წინადადებას აქვს სტილისტური ხარვეზი?

- ღონისძიებაზე რამდენიმე უცხო პირი შევნიშნე.
- შეკრებას ოფიციალური პიროვნებებიც ესწრებოდნენ.
- ჩვენი თანამგზავრი საინტერესო პიროვნება აღმოჩნდა.
- ჩვენს ჯგუფს ორი სასულიერო პირი შემოუერთდა.

რომელ წინადადებაშია შეცდომა?

- ამ ჭიშკარით დიდ ეზოში შედიოდი.
- სადილად მოხარშული დედლის ხორცი ჰქონდათ.
- სატევრის ხმარება საუცხოოდ იცოდა.
- ფანჯრიდან მშვენიერი ხედი იყო.

კოლაუ ნადირაძის ლექსში «25 თებერვალი, 1921 წელი» ვკითხულობთ:
«დაცხრა კოჯორი და ტაბახმელა,
მხოლოდღა თოვლი ცვიოდა ნელა,
ეფინებოდა გმირების გვამებს -
განგმირულ მკერდებს, დაღეწილ მკლავებს,
და უძრავ იყო თებერვლის ღამე».

რა იგულისხმება სტრიქონში: «დაცხრა კოჯორი და ტაბახმელა»?

- ბრძოლა დამთავრდა.
- თოვლი ცვიოდა.
- იდგა თებერვალი.
- მებრძოლეები დაიღუპნენ.

რომელია სწორი შესიტყვება:

- მოვალეობა დაეკისრა.
- უფლება დაეკისრა.
- მოვალეობა მიენიჭა.
- არც ერთი შესიტყვება არ არის სწორი

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან «კაცია-ადამიანი?!»:

«სხვამ რაც უნდა სთქვას, მე კი ამ სიტყვების სიმართლით გავამხნევებ ჩემს თავსა: «მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო»... ზოგი გულის-ტკივილს იმითი იჩენს, რომ მოყვარეს ცუდსაც უქებს, და ზოგი კი იმითი, რომ ცუდს უწუნებს. ამ ორგვარ ხალხში რომელს უფრო მეტი და ჭეშმარიტი გულის-ტკივილი და სიყვარული აქვს - ეს თითონ მკითხველმა გამოიცნოს».

ამ ტექსტის მიხედვით, რას უნდა ემსახურებოდეს მწერლობა?

- მწერლობა უნდა ემსახურებოდეს გლეხების ინტერესებს.
- მწერლობა უნდა ემსახურებოდეს ერის ინტერესებს.
- მწერლობა უნდა ემსახურებოდეს თავადების ინტერესებს.
- მწერლობა უნდა ემსახურებოდეს მთავრობის ინტერესებს.

რომელია რთული წინადადება?

- გუშინ მე, ნინო და ნანა ახალ სპექტაკლზე ვიყავით.
- მასწავლებელი ძალიან აღელვებული და შეწუხებული ჩანდა.
- შეხვედრა გვიან დამთავრდა და ახალგაზრდებიც დაიშალნენ.
- ჩემი ახალი, წითელი ბერეტი ყველას ძალიან მოეწონა.

ფატმანი ავთანდილს უამბობს უსენის შესახებ:

«რას ვაგრძელებდე? გატეხა ფიცი, სიმტკიცე სჯულისა, უამბო პოვნა ქალისა, მჭვრეტთაგან მზედ სახულისა. მეფესა მეტად ეამა, მიეცა ლხინი გულისა, უბრძანა დარბაზს მოყვანა, სრულ-ქმნა უსენის თქმულისა. მე აქა ჩემსა ამოდ ვჯე, მუნამდის არ მიკვნესია. შემოდგა კარსა მეფისა მონათა უხუცესია...»

რა მიზნით ეწვია ფატმანს მეფის მონათა უხუცესი?

- ავთანდილის წასაყვანად.
- ნესტანის წასაყვანად.
- უსენის დასაჯილდოებლად.
- ფატმანის დასასჯელად.

რომელ წინადადებაშია სინტაქსური შეცდომა?

- ბურუსს, რომელიც დაბლა ჩამოწოლილიყო, იქაურობა დაებნელებინა.
- სასტუმრო, რომელიც სანაპიროზე აშენდა, «ძველი თბილისი» დაარქვეს.
- ფილმმა, რომელიც ფესტივალზე უჩვენეს, ყველა ადაფრთოვანა.
- შარაგზა, რომელიც სოფლის ბოლოს იწყებოდა, ტყეს უერთდებოდა.

გაიხსენეთ, როგორ გაიცნეს ერთმანეთი ავთანდილმა და ფრიდონმა. როგორ მიიქცია ფრიდონისადა მისი ლაშქრის ყურადღება ავთანდილმა?

- ავთანდილი ცხენდაცხენ შეიჭრა ფრიდონის ლაშქარში.
- ავთანდილი მიიჭრა ქედთან, სადაც ფრიდონი იდგა.
- ავთანდილმა ამოხოცა ფრიდონის თანმხლები ლაშქარი.
- ავთანდილმა ისარი სტყორცნა ორბს და მოკლა.

რომელია არასწორი ფორმა?

- გაფხეკს.
- გაწყვეტავს.
- დახატავს.
- დაინახავს.

ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში «ოთარაანთ ქვრივი» არჩილი მიმართავს კესოს:

« - გული, ესე იგი, ის მადლი, რაც ენას და ხელს უნდა ასაქმებდეს, მართლა რომ აღარ არის, ან არის და დამუნჯებულია, დაყრუებულია, თითქო იმათაც და ჩვენც მოგვკვდომოდეს, თუ მთლად არა, ერთი ნახევარი მაინც. ამ ცალთვალა და ცალყურა ნახევრით-ლა ვცხოვრობთ და ვკითხულობთ ერთმანეთს».

რომელ ლიტერატურული მიმართულებას მიეკუთვნება ეს ტექსტი?

- იმპრესიონიზმს.
- რეალიზმს.
- რომანტიზმს.
- სიმბოლიზმს.

ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში «ოთარაანთ ქვრივი» არჩილი მიმართავს კესოს:

« - აბა გიორგის ამბავი წიგნში ამოგვეკითხნა, რა პტყელ-პტყელ ლაპარაკს მოვყვებოდით მე და შენ და ჯვართ ვაცვამდით, ვისაც კაცის საწყაოდ გვარიშვილობა მოუხმარია. «ღირსების თაყვანისცემას» ვილა სჩივის, შენ ვერც კი მიუხვდი სიყვარულს, კაცი თურმე თავს გველებოდა. აი, რა დიდი კედელია ჩვენსა და იმათ შუა!»

არჩილის თქმით, რის გამო ვერ შეიყვარებდა კესო გიორგის?

- გიორგი გლეხკაცი იყო.
- გიორგი ულამაზო იყო.
- გიორგი უღირსი იყო.
- გიორგი ღირსეული იყო.

რომელი სასვენი ნიშანი უნდა იყოს გამოყენებული წინადადებაში?
ავი ძალღი არც თვითონ ჭამს არც სხვას აჭმევსო.

- მძიმე.
- ორწერტილი.
- წერტილ-მძიმე.
- ტირე.

რომელი წინადადებაა ქართულისათვის უფრო ბუნებრივი?

- ცნობილია, რომ აკაკი ენაკვიმატი ენის მქონე იყო.
- ცნობილია, რომ აკაკი ენაკვიმატი ენის პატრონი იყო.
- ცნობილია, რომ აკაკი ენაკვიმატი იყო.
- ცნობილია, რომ აკაკის ენაკვიმატი ენა ჰქონდა.

პოემაში «გველის მჭამელი» ვაჟა-

ფშაველა აღწერს ფერისცვალებას, რომელიც განიცადა მინდიაშაჯთა საკვების გასინჯვის შემდეგ:

«ამას ჰგრძნობს, უკვირს თვითონაც
ტყვეს თვის ბუნების ცვალება.
შეიგნო, ჭამა გველისა
ქაჯთაგან იყო ზმანება.
სიბრძნე აჩვენეს გველადა,
რომ ჰზიზღებოდა საჭმელად,
თუმც «შენც ჭამეო, მინდიავ»,
არა ზარობდენ სათქმელად».

რატომსთავაზობდნენ ქაჯები მინდიას, გაესინჯა მათი საჭმელი?

- რომ ამ კერძის გასინჯვის სურვილი არ გასჩენოდა.
- რომ ამ კერძის გასინჯვის სურვილი მომატებოდა.
- რომ გველის ხორცის ჭამას შეჩვეოდა.
- რომ ტყვეობიდან გაქცევა აღარ მონდომებოდა.

ვაჟა-

ფშაველას პოემაში «ბახტრიონი» კვირია თავის გეგმას აცნობს ლელას:

«თან ვეტყვი: «ყეინს მოვართვი

ფეშქაშად ტურფა ქალიო;

გთხოვთ მანუგემოთ მენაცა,

კაცი ვარ შესაწყალიო».

კარს გაგვიღებენ ციხისას,

მარჯვედ მოვხვდებით შიგითა.

შენ თუნდა ხელსაც ნუ გასძრავ,

ჩვენს ჯარს მე ვუშველ იქითა».

სინამდვილეში რა არის კვირიას მიზანი?

- თავგანწირული მეომრის სახელის მოპოვება.
 - ქართველებისათვის ციხის კარების გაღება.
 - ყაენისაგან დიდი გასამრჯელოს მიღება.
 - ყაენის მოხიბვლა ლელას სილამაზით.
- რომელ წინადადებაშია ორთოგრაფიული შეცდომა ?**

- ბებიას ხელში თითისტარი ეჭირა.
 - გიორგი გულჩათხრობილი ბავშვი იყო.
 - მოხუცი ტახტზე ფეხ მორთხმით იჯდა.
 - ტურისტები შუაგულ ტყეში დაბანაკდნენ
- რომელ წინადადებაშია ორთოგრაფიული შეცდომა ?**

- ბებიას ხელში თითისტარი ეჭირა.
- გიორგი გულჩათხრობილი ბავშვი იყო.
- მოხუცი ტახტზე ფეხ მორთხმით იჯდა.
- ტურისტები შუაგულ ტყეში დაბანაკდნენ.

ნესტანის სამეზობლოდ მიმავალი ავთანდილი ზღვის პირას მოქარავენებს ხვდება. რა საქმისარმცოდნე ხალხად მიიჩნევს ავთანდილი ვაჭრებს?

- ზღვაოსნობის.
- მოგზაურობის.
- ნადირობის.
- ომის.

იოვანე საბანისძის თხზულებაში «აბოს წამება» ვკითხულობთ:

«ეგრეთვე ესე კუალად ნაშობი აბრაჰამისი არა თუ თვისით გონებით, არამედ წამის ყოფითა ღმრთისამიერიითა იწვია ესეცა და დაუტევა მამაი, და დედაი, და ძმანი, და დანი, და ნათესავნი, და მონაგებნი, და აგარაკები. და წარმოვიდა აქა ნერსეს თანა მგზავრ ქრისტეს სიყუარულისათვის».

რას ნიშნავს სიტყვები: «არა თუ თვისით გონებით, არამედ წამის ყოფითა ღმრთისამიერიითა იწვია ესეცა».

- აბო საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისადაც მოქმედებდა და აბრაჰამის ნებითაც.
- აბო საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისადაც მოქმედებდა და უფლის ნებითაც.
- აბო საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისად კი არ მოქმედებდა, არამედ - ნერსეს ნებით.
- აბო საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისად კი არ მოქმედებდა, არამედ - უფლის ნებით.

ვაჟა-

ფშაველას პოემაში «ალუდა ქეთელაური» მინდია მიმართავს ხე
ვსურებს:

«მართალი არი ალუდა,
თავს არ დამექცნენ ცანია!
თუ არა გჯერათ, ქისტისა,
აი, მოჭრილი მკლავია!»

რა არის მინდიას მიზანი?

- ალუდას მეგობრობა დაუმტკიცოს.
- დაამტკიცოს ალუდას სიმართლე.
- დაამტკიცოს საკუთარი
სიმართლე.
- თემს ერთგულება დაუმტკიცოს.

რომელია სწორი ფორმა?

- ბზიკავს.
- კვნიტავს.
- კრეჭავს.
- პარსავს

რომელია სწორი ფორმა?

- ბზიკავს.
- კვნიტავს.
- კრეჭავს.
- პარსავს

რა მოიბოქმედა იაკობ ხუცესმა მას შემდეგ, რაც შეიტყო სასახლიდან შუ
შანიკის წასვლის ამბავი?

- ეახლა აფოცს.
- ეახლა დედოფალს.
- ეახლა პიტიახშს.
- ეახლა ჯოჯიკს.

გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის მოთხრობა «მგზავრის წერილები». რა არის ის უმთავრესი არგუმენტი, რომლის მეშვეობითაც მოხვევე უსაბუთებს მგზავრს უწინდელი დროის უპირატესობასახლანდელთან შედარებით?

- ჩვენი თავი ჩვენვე გვეკუთვნოდაო.
- ჩვენი სამშობლო დიდ ტერიტორიებს ფლობდაო.
- ჩვენი ქვეყანა მტერს უმკლავდებოდაო.
- ჩვენი ძალა სხვა ქვეყნებზეც ვრცელდებოდაო.

**რას ნიშნავს სიტყვათა მყარი შეხამება -
ამღვრეულ წყალში თევზი დაიჭირა?**

- არეულობა გამოიწვია.
- არეულობა სხვას გადააბრალა.
- არეულობით ისარგებლა.
- არეულობის მიზეზი გახდა.

მელიქ-სურხავის სასახლეში დატყვევებულმა ნესტან-დარეჯანმა უთხრა მცველებს:

«უცილოდ თავსა მოვიკლავ, გულსა დავიცემ დანასა,
თქვენ დაგხოცს თქვენი პატრონი, სოფელს ვერ დაჰყოფთ ხანასა;
ესე სჯობს: მოგცე საჭურჭლე, მძიმე მარტყია ტანასა,
მე გამაპარეთ, გამიშვით, თვარა დაიწყებთ ნანასა!»

ნესტანის რა თვისება ჩანს ტექსტის ამ მონაკვეთში?

- ამპარტავნობა.
- გულმოწყალება.
- დაუნდობლობა.
- მოხერხებულობა.

რომელია სწორი?

- რა თქმა უნდა
- რა თქმაუნდა
- რათქმა უნდა
- რათქმაუნდა

რომელი კომპოზიტი შედგება სინონიმებისაგან?

- დილა-საღამო.
- ტანჯვა-წამება.
- ცხვირ-პირი.
- წალმა-უკულმა.

რა ტიპის არის მოცემული წინადადება?

ყველა დარწმუნებული იყო, რომ ერისთავების ლაშქარი იმერეთში მიდიოდა.

- მარტივი.
- შერწყმული.
- რთული თანწყობილი.
- რთული ქვეწყობილი.

სიტყვები: ხუროთმოძღვარი და არქიტექტორი არის:

- სინონიმები.
- ანტონიმები.
- ომონიმები.
- პარონიმები

სიტყვები: ხუროთმოძღვარი და არქიტექტორი არის:

- სინონიმები.
- ანტონიმები.
- ომონიმები.
- პარონიმები.

კონსტანტინე გამსახურდიას რომანში «დიდოსტატის მარჯვენა» მეფე გიორგი ამბობს:

«გულზვიადიც ვიყავი და ლოთიც, მაგრამ ჩემი ხალხისთვის არასოდეს მიღალატნია... როცა ხალხს ამდენი მოღალატე შინა ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს მას... ოდითგანვე ასე მოგვდგამს ქართველებს, მუდამ ჩვენს სიმცირეს მივსტიროდით, რადგან მტერი აურაცხელი გვყავდა მუდამ, მაგრამ დიდი კაცი თუ გამოგვერია, მას ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები».

რა საშინაო-პოლიტიკური ვითარება იხატება გიორგის სიტყვების მიხედვით?

- კათალიკოსთან დაპირისპირება.
- სახელმწიფოს ეკონომიკური განადგურება.
- სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარება.
- შინაფეოდალური აშლილობა.

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი დავით გურამიშვილის «დავითიანიდან»:

«მითხარ, მტერო, დავის თხოვნით დავითისგან მოიგე რა? რად უყვედრე უშობელსა, ბერწობ, ვერა მოიგე-რა! იმას შვილად ვერვინა სჯობს, დავით ვინც ძედ მოიგერა, ვინც გამოთქვა, ის იშვილა, მტერი იმით მოიგერა».

რომელ სტრიქონში ჩანს, რომ ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს საკუთარ თხოულებას?

- I სტრიქონში.
- II სტრიქონში.
- III სტრიქონში.
- IV სტრიქონში.

იაკობ ხუცესის თხოულებაში «შუშანიკის წამება» ვკითხულობთ:

«და ვითარ შევედი შინა, ვიხილე ხატი მისი დაბძარული და განსივებული, და აღუტევე ხმაი და ვტიროდე. ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე: «ნუ სტირ ჩემთვის, რამეთუ დასაბამ სიხარულისა იქმნა ჩემდა ღამეი ესე».

შუშანიკის აზრით, რატომ არის სატირელი მისი მდგომარეობა?

- ტანჯვის საზღაურად იგი ამქვეყნიურ დიდებას მოიპოვებს.
- ტანჯვის საზღაურად იგი იმ ქვეყნად ნეტარებას მოიპოვებს.
- ტანჯვის საზღაურად იგი სამშობლოს დამოუკიდებლობას მოუპოვებს.
- ტანჯვის საზღაურად იგი ხალხის დაფასებას მოიპოვებს.

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი კონსტანტინე გამსახურდიას რომანიდან «დიდოსტატისკონსტანტინეს მარჯვენა»:

«მეფე გაცოფდა, აზვავდა, წონასწორობა დაჰკარგა ეროსისაგან გახელებულმა... თრიაქით დამთვრალიყო გიორგი, მელქისედეკი ეწვია იმავე საღამოს. კათალიკოსმა რა გაიგო, მკრეხელური სურათი დაუხატავსო არსაკიძეს, ლაზს, მოაგონდა თავისი ქადაგება სამთავროს ტაძარში, წარმართობის შიშმა წამოუარა ისევ და ხელი აიღო ხუროთმოძღვრის დაცვაზე».

რის გამო აღარ დაიცვა მელქისედეკმა არსაკიძე?

- მეფის წინაშე მოკრძალების გამო.
- მკრეხელური სურათის დახატვის გამო.
- სვეტიცხოვლის ცუდად აგების გამო.
- ქრისტიანული სარწმუნოების უარყოფის გამო.

პაოლო იაშვილის ლექსში «წერილი დედას» ვკითხულობთ:

«ტირილი, ტირილი, ტირილი ბევრი!
ბზის განიავება, კალო და კევრი,
და სოფლის სიწმინდე, მართალი ბათმანი,
როცა მე ქალაქში მაწუხებს, მახელებს
ყველა ყელსახვევი, შავი ხელთათმანი».

რა განცდას იწვევს ავტორში ქალაქური ყოფა?

- აღფრთოვანების.
- გაღიზიანების.
- თვითკმაყოფილების.
- სიამაყის.